გლობალიზაცია და მცირე ერი-სახელმწიფოს საფრთხეები და გამოწვევები

სალომე გიორგაძე
დოქტორანტი
ლევან ოსიძე
სტუ, ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაცია ურთულესი პროცესია, რომელშიც არსებობს სუბიექტი და ობიექტი. სუბიექტი არის დიდი ქვეყანა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მცირეზე და უგულვებელყოფს უმცირესობაში მყოფთა ეროვნულ ღირებულებებს, ხოლო ობიექტს წარმოადგენს პატარა ქვეყანა, რომელიც დიდი ქვეყნის უშუალო ზემოქმედების ობიექტია.[1] გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული საზღვრები იშლება და მსოფლიო ერთიანდება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული-ენობრივი ნიშნებით, რითაც განსაკუთრებით საფრთხეს წარმოადგენს მცირე ერი-სახელმწიფოებისათვის. დიდი ხანია მიმდინარეობს სამეცნიერო დებატები მცირე ერი - ქვეყნების განსაზღვრებაზე. „პატარა ქვეყნის“ ცნებაში ხშირად „სუსტი“ და „განუვითარებელი“ ქვეყნები მოიაზრება, თუმცა დღეს სხვა რეალობის წინაშე დავდექით. XXI საუკუნეში ყურადღების ცენტრში მოექცა განვითარებული პატარა ქვეყნები თავიანთი დიდი ისტორიით, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო არენაზე და აგრძელებენ მცდელობას დაიმკვიდრონ თავი გლობალიზაციის პირობებში. ენდრიუ ჰეივუდის აზრით, გლობალიზაცია არის „ურთიერთდაკავშირებულობის რთული ქსელი, რომლის მეშვეობითაც ცხოვრებას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს შორს მიმავალი გადაწყვეტილებები და მოვლენები; გლობალიზაცია ერ-სახელმწიფოთა მზარდ შეღწევადობას გულისხმობს“,[2] რაც ახლებურად მოიაზრებს კაცობრიობის მომავალს, ეროვნულ ცნობიერებას და საერთოდ ერების თვითმყოფადობას. მაქს ვებერის აზრით, ერი არის „გრძნობითი ერთობა, რომელიც ადეკვატურად გამოხატავს თავის თავს საკუთარ სახელმწიფოში; აქედან გამომდინარე, ერი არის ერთობა, რომელიც, როგორც წესი, იჩენს სწრაფვას საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ“.[3] ენტონი სმითის მიხედვით, ერი არის „დიდი, ვერტიკალურად ინტეგრირებული და ტერიტორიულად მობილური ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს საერთო მოქალაქეობრივი უფლებები და კოლექტიური გრძნობები ერთ ან მეტ საერთო მახასიათებელთან ერთად, რომელიც განასხვავებს მის წევრებს იმ მსგავსი ჯგუფებისაგან, რომლებთანაც მათ აქვთ მოკავშირული ურთიერთობა ან კონფლიქტი“.[4] ენტონი გიდენსი ამგვარ დეფინიციას გვთავაზობს: „ერი-სახელმწიფო არის მმართველობის ინსტიტუციური ფორმების ერთობლიობა, რომელიც ინარჩუნებს ადმინისტრაციულ მონოპოლიას საზღვრებით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, მისი მმართველობა სანქცირებულია კანონით, რომელიც ახორციელებს კონტროლს შიდა და გარე იძულების საშუალებებზე“.[5]

ჩვენს მიერ წარმოდგენილ თეორეტიკოსებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ გლობალიზაცია ზრდის სახელმწიფოთა ზეგავლენას არა მარტო ერთმანეთზე - არამედ ადამიანთა ცხოვრების წესსა და შეხედულებებზე. ამ პროცესებში ყურადსაღებია გლობალიზაციის ზეგავლენა პატარა ერ-სახელმწიფოებზე.

1. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №18, 2010 w https://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/2010/16-05-2010.htm (უკანასკნ. ნანახია 19.20.2022)

2. ე. ჰეივუდი, ,პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი, [მთარგმნ.: თამარ ბაკურაძე და სხვ.; რედ.: ლაშა ბერაია, ზეინაბ სარაძე]. - მე-3 გამოც.. - თბ.: ლოგოს პრესი, 2004. - 432გვ.

3. Weber, M., (1948). From Max Weber: Essays in Sociology. In Girth and Mills (Eds.). London: Routledge and Kegan Paul; 112 გვ.

4. Smith, A. D. (1971). Theories of Nationalism (1st edition). London: Duckworth; 201 გვ.

5. Giddens, A.(1987). Social Theory and Modern Sociology. Cambridge: Polity Press; 198 გვ.

მნიშვნელოვანია გავერკვეთ, რას გულისხმობს პატარა ერი-სახელმწიფოს ცნება, რომელსაც მკვლევარები სხვადასხვანაირად განმარტავენ. მაგალითად, მოსერის მიხედვით, აბსოლუტური განსაზღვრება „როგორც წესი, ეფუძნება გარკვეულ ზღურბლს“ და როგორც კი ქვეყანა ამ მაჩვენებლის ზღურბლს გადასცდება, იგი აღარ ითვლება სუსტ ან პატარა ქვეყნად[6]. ამიტომ ეს კატეგორიები ზუსტად ვერ გადმოსცემენ „პატარა ქვეყნის ბუნებას. ბიოლის მიხედვით: „ბელგია შეიძლება პატარაა საფრანგეთთან მიმართებაში, მაგრამ ლუქსემბურგი პატარა ქვეყანაა ბელგიასთან მიმართებაში, ხოლო საფრანგეთი პატარა ქვეყანაა აშშ-სთან მიმართებაში“.[7] როტშტეინის მიხედვით, „პატარაა ის სახელმწიფო, რომელიც აღიარებს, რომ მას არ შეუძლია მოიპოვოს უსაფრთხოება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და რომ ის უნდა დაეყრდნოს ძირითადად სხვა სახელმწიფოთა დახმარებას, ინსტიტუტებს, პროცესებს, ან გარემოებებს, რათა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. ასევე პატარა ქვეყნის რწმენა საკუთარ უძლურებაში აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაბმული სხვა სახელმწიფოთა მიერ“. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გლობალიზაციის პირობებში რთულია ქვეყნები განვიხილოთ ეკონომიკური და პოლიტიკური მონაცემების მიხედვით. ეროვნული იდენტიფიკაცია უნდა განისაზღვროს ისეთი კულტურული მახასიათებლებით, როგორიცაა ტრადიციები, რელიგია და ა.შ. საკვანძო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს 1648 წლის ვესტფალიის ზავი, რომელმაც ევროპაში ოცდაათწლიანი ომი დაასრულა და სწორედ აქედან დაიწყო თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. მანამდე ევროპული შუა საუკუნებრივი პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია დამყარებული იყო განსაზღვრულ რელიგიურ იერარქიაზე. ვესტფალიის ზავმა ხელი შეუწყო ერი-სახელმწიფოს აღმავლობას, დიპლომატიისა და არმიის ინსტიტუციონალიზაციას. საერთაშორისო საზოგადოებაში ფაქტობრივად ახალ ერას ჩაუყარა საფუძველი და გასაქანი მისცა მაშინდელი ძლიერი ქვეყნების პოტენციალს. გარდა ამისა, ხელშეკრულების მიხედვით, რომის იმპერიაში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებს მიენიჭათ უფლება გამხდარიყვნენ სხვა პოლიტიკურ ძალთა მოკავშირეები იმ წინაპირობით, რომ მათი ალიანსი არ შეეწინააღმდეგებოდა იმპერიისა და შეთანხმებით დადგენილ ინტერესებს. ამით, ფაქტობრივად განხორციელდა საერთაშორისო ძალაუფლების დანაწევრება, რამაც ხელი შეუწყო ე.წ. „პატარა ქვეყნების“ განვითარებასა და ძალთა დაბალანსებას საერთაშორისო დონეზე. ვესტფალიის ზავმა საბოლოოდ აღიარა ახალი რეალობა – რეფორმაციის გამო შეცვლილი ევროპის რუკა, რომელზედაც ახალი სახელმწიფოები გაჩნდა[8].

ისტორიას თუ გადავხედავთ, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე პატარა ქვეყნების ხელში ჩაგდება და მათი დანაწევრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საერთაშორისო პოლიტიკაში, თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მათთვის თითქოს უკეთესი დრო დადგა. იმპერიების ნგრევისა და კოლონიური სისტემის მოშლის შედეგად მათმა რიცხვმა იმატა. 1945 წლიდან, გაეროს წევრი ორგანიზაციების რაოდენობა 50-დან 193-მდე გაიზარდა. თითქმის 4-ჯერ გაიზარდა მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთაგან ორი მესამედი კლასიფიცირდება როგორც პატარა ერი-სახელმწიფო.

ჰენრი კისინჯერის აზრით, არსებობენ ნგრევად იმპერიებს გამოყოფილი ეთნიკური ჯგუფები, როგორიცაა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოები. ისინი ფიქსირებულნი არიან ისტორიული უსამართლობების გამოსწორების, იდენტობის ძიებაზე და უმეტესად იბრძვიან უძველეს ეთნიკურ მტრობაში გასამარჯვებლად. საერთაშორისო წესრიგის მიზნები მათ ხშირად არ აინტერესებთ ან სცდება მათი წარმოსახვის უნარს. როგორც პატარა ქვეყნები ოცდაათწლიან ომში, ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და გაზარდონ საკუთარი ძალა

6. Michael W. Mosser, „Engineering Influence: the Subtle Power of Small States in the CSCE?OSCE”, paper presented at the workshop on „Small States and Alliances”, Austrian Defense Academy, Vienna, 25-27 November 1999, p. 3

7. Erling Bjol, „Small States in International Politics”, in Schou et al., Small States, 9.

8. თ. ყრუაშვილი, სტატია ,ვესტფალიის ზავი – რეფორმაციის ისტორიული შედეგები, 2021წ https://www.ttimes.ge/archives/114371 (უკანასკნ. ნანახია 04.12.2022)

საერთაშორისო პოლიტიკურ წესრიგში ხშირად კოსმოპოლიტური ინტერესების გათვალისწინების გარეშე[9]. როდესაც პატარა ქვეყნების რიცხვს ახალი პოსტსაბჭოური სახელმწიფოები შეემატა, ისინი მეტნაკლებად მზად არ აღმოჩნდნენ საერთაშორისო გარემოში ადაპტაციისთვის. ტოტალიტარულმა წარსულმა გავლენა იქონია ამ ქვეყნების მოსახლეობის იდენტობაზე, ღირებულებებზე, წეს-ჩვეულებებზე და ყოველივე ამან განაპირობა წარმოქმნილიყო ქვეყნის შიდა საფრთხეები, რამაც გაზარდა სეპარატიზმი. რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამძაფრა მისი მეზობელი პატარა ქვეყნების შიდა პრობლემები, რადგანაც აფერხებდა მათ დემოკრატიულ ცვლილებებს, პროგრესსა და ინტეგრაციას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა რამდენიმე პატარა ქვეყანა, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა და დაიწყეს გადარჩენისთვის ბრძოლა, მძიმე წარსულიდან აღორძინებას პატარა ქვეყნები განსხვავებული გზებით ცდილობდნენ. მაგალითისთვის, ბალტიისპირეთში სამი პატარა ქვეყანაა, რომელთაც საერთო წარსული აერთიანებთ. ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქვეყნები არიან. ამათგან ლიეტუვას, როგორც პატარა ერი-სახელმწიფოს ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ის 1796 წელს შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ვილნას და კოვნას გუბენიათა სახით და დაიწყო რეფორმების გაუთავებელი კასკადი. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა. დაიწყო ცხოვრების ყველა სფეროს ინტენსიური რუსიფიკაცია. დაიხურა ვილნიუსის უნივერსიტეტი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი იყო აღმოსავლეთ ევროპაში. აიკრძალა ლათინური შრიფტი და კირილიცით მისი ჩანაცვლება. ლიეტუვაში უდიდეს ანტირუსულ და ანტიცარისტულ აჯანყებებს უმკაცრესი რეპრესიები მოჰყვა. ყოველივეს მიუხედავად, ლიეტუველებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. არც საბჭოთა ლიეტუვის ცხოვრება ყოფილა განსხვავებული, სხვა დანარჩენი საბჭოეთისაგან. არსებობდა დისიდენტური იატაკქვეშა დაჯგუფებები, რომლებსაც ხელისუფლება დევნიდა, ერთ-ერთმა ასეთმა დაჯგუფებამ „საუდის“-მა, წამოიწყო აშკარა ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ. ვილნიუსიდან რიგის გავლით ტალინამდე მილიონობით ბალტიისპირელის ცოცხალი, ხელიხელჩაკიდებული ჯაჭვი გადაიჭიმა. ამით ლიეტუველებმა, ლატვიელებმა და ესტონელებმა გააპროტესტეს 1939 წლის ცნობილი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირმა და ფაშისტურმა გერმანიამ ურთიერთშორის გადაინაწილეს ბალტიისპირეთი. ცხადია, რეჟიმი უსისხლოდ არ შეურიგდებოდა მისი დამხობის მცდელობას. სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში ადგილი ჰქონდა ტრაგედიებს მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, ლიეტუვამ დამოუკიდებლობა მიიღო და გადალახა სირთულეები, როგორც სხვა ბალტიისპირა სახელმწიფოებმა. განვლილი სირთულეების ფონზე აღნიშნულმა ქვეყნებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს და დღესდღეობით უსწრებენ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ხორვატია და პოლონეთი. მსოფლიო ბანკმა ბალტიის სამივე ქვეყანა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების სიაში შეიყვანა.[10] დედამიწაზე მრავალი მაღალგანვითარებული პატარა ქვეყანაა, რომლებმაც არა მხოლოდ მატერიალურად მაღალ ნიშნულს მიაღწიეს, არამედ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს, როგორც სანდო და აღიარებულმა მედიატორებმა სხვადასხვა კონფლიქტის, სადავო საკითხის მოგვარებაში, მშვიდობისმყოფელთა ფუნქციის განხორციელებაში. ხსენებული პატარა ქვეყნები საერთაშორისო დიპლომატიაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. ამის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი საერთაშორისო როლი და ავტორიტეტი. ზოგიერთი პატარა სახელმწიფო თავის რეგიონში მეტად ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. ამის მაგალითია ისრაელი, რომელიც მსოფლიოში გამორჩეულია. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ფილიალები აქვთ: „მაიკროსოფტს“, „ინტელს“, „გუგლს“, „ეიფლს“, „ფეისბუქს“ და ა.შ. ისრაელი, როგორც პატარა სახელმწიფო, ნათელი მაგალითია იმისა, რომ ტერიტორიული

9. ჰენრი კისინჯერი „დიპლომატია“ გამომცემლობა ინტელექტი, თბ., 2021

10.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%90 (უკანასკნ.ნანახია 02.12.2022)

სიმცირის, მძიმე ისტორიული წარსულის და კონფლიქტების მიუხედავად, გავლენიან როლს თამაშობს საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე მრავლად არსებობენ პატარა სახელმწიფოები, რომლებმაც დაანგრიეს მითი მცირე სახელმწიფოების უუნარობის შესახებ. ევროპაში და აზიაში, სამხრეთ აფრიკაში და ოკეანეთშიც არსებობენ სახელმწიფოები და გამოირჩევიან როგორც ფართობის, ასევე მოსახლეობის სიმცირით, ქვეყნები, რომლებიც შედიოდნენ დიდი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და დღეისდღეობით განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, როგორებიცაა ვატიკანი, სან-მარინო, ანდორა, მონაკო, ლიხტენშტაინი, მალტა, ლუქსემბურგი, შვეიცარია, სინგაპური და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა პატარა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ადგილი და როლი დაიმკვიდრა საერთაშორისო პოლიტიკაში, ისინი დღემდე სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. ომი, სეპარატიზმი, სიღარიბე, ეროვნული იდენტობის შელახვა და სხვა ნეგატიური მოვლენები ბევრი პატარა ქვეყნის ყოველდღიური პრობლემებია. აქვე, მოკლედ შევეხებით იმ გლობალურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც თანასწორია ყველა სახელმწიფო, რაც XXI საუკუნემ ნათლად დაგვანახა, რომ გლობალური გამოწვევები ყველას ეხება. ზარბაზნების, ტანკების, რაკეტების, რევოლუციების გარეშე, დროის მცირე მონაკვეთში ერთბაშად შეცვალა მსოფლიო კორონა ვირუსმა. ერი-სახელმწიფოებს ცხოვრებისა და ურთიერთობის ახალი წესები შესთავაზა, რომელმაც საუკუნეებით უკან დაგვაბრუნა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ თუ გვსურს გადავრჩეთ, ყველა ჩვენს „ადგილს“ უნდა დავუბრუნდეთ. პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა გლობალისტურ და ნეოლიბერალურ იდეებს და მათი უტოპიური ბუნება ბოლომდე გააქარწყლა. თითქოს საზღაურია, რომლითაც სამყაროს წესრიგის უარმყოფლებს თავისი ადგილი მიუჩინა. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ ძლიერი სახელმწიფო არ უნდა იყოს, ფინანსური კაპიტალის, ძალაუფლება/გავლენებისა და სამხედრო რესურსების მიუხედავად, დედამიწას „ადამიანთა ჯგუფები“ თავიანთი ინტერესების შესაბამისად ვერ მართავენ! თანამედროვე გლობალურ გამოწვევებზე საუბრისას, ასევე გვსურს გამოვყოთ ეკოლოგიური პრობლემები.[11] ადამიანის სამეურნო საქმიანობამ, განსაკუთრებით გასულ საუკუნეში, მნიშვნელოვნად იმოქმედა ბიოსფეროზე. როდესაც დაბინძურებული ქვეყნების სიაში კანადა მოხვდა, გააპროტესტა და თქვა „მე მდიდარი ვარ“, მაგრამ პასუხი იყო „კი, მაგრამ შენც დაბინძურებული ხარ». ამ საკითხთან დაკავშირებითაც აშკარად ჩანს, რომ ურთიერთდამოკიდებულების ურთიერთობა სცილდება იმას, რაც იყო ადრე უბრალოდ ერებსა და ქვეყნებს შორის. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ გლობალიზაციის გამოწვევები ყველა ქვეყანას ეხება, მიუხედავად მისი ძლიერებისა, სიდიდისა თუ განვითარებულობისა. მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იზოლირებულად განვითარება. მსოფლიოს წინაშე მდგარი ისეთი პრობლემები, როგორიცაა, პანდემია, გარემოს დაცვა, თვითგადარჩენა და ა.შ. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის დაძლევადი. აქედან გამომდინარე, თანამედროვე სახელმწიფოს გამოწვევაა, იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი და ამასთანავე შეინარჩუნოს თვითმყოფადობა.

ზემოთ აღნიშნული განვითარებული პატარა ქვეყნებისგან განსხვავებით, განვითარებადი პატარა ერი-სახელმწიფოები გლობალიზაციის უარყოფით პროცესებს უფრო მეტად განიცდიან, რადგან მათთვის, მთავარი მიზანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქვეყნები, რომლის უმრავლესობაც დიდხანს იყო სხვა ქვეყნების დაქვემდებარებაში. განსაკუთრებით რთულია ქვეყანამ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, როცა საკმარისად ძლიერ სამხედრო ძალას არ ფლობს. საფრთხეების მიუხედავად აუცილებელია პატარა სახელმწიფომ მსოფლიოს ნაწილად იგრძნოს თავი, რადგან შეუძლებელია ქვეყანა განვითარდეს დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულ მდგომარეობაში. აუცილებელია აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობები და დაიცვას საკუთარი ინტერესები. დღეისდღეობით მთელ რიგ

11. ე. ელიზბარაშვილი, „გლობალური ეკოლოგია, დამხმარე სახელმძღვანელო თბ., 2009

პატარა ქვეყნებს საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მათ განვითარებასა და წინსვლას. თითქოს მათი უსაფრთხოება უფრო უზრუნველყოფილია, თუმცა უმეტესს პატარა და სუსტ ქვეყანას არ აქვს უსაფრთხოების გარანტიები. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასეა და ჩვენ ერთ-ერთი ის ახალგაზრდა პატარა ქვეყანა ვართ, რომელიც დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან გადარჩენისთვის იბრძვის და დღემდე ყველა მხრიდან ცდილობენ „ჩვენი კეთილმოსურნეები" გლობალიზაციის უარყოფით მხარეებს გვაზიარონ. საქართველო მსოფლიოს 232 ქვეყნიდან, 69 700 კმ ფართობით, 121 ადგილზეა. საზოგადოების ნაწილი დღემდე თვლის, რომ სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მისი პატარა ფართობია.[12] აღნიშნული აზრის საწინააღმდეგოდ განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი, რაც ცხადყოფს რომ ქვეყნის წარმატებულობას ტერიტორიული ფართობის სიმცირე ან სამხედრო ძლიერება არ განაპირობებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს და საქართველოს ბევრი საერთო აქვთ, ოთხივე ქვეყანა წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ, მათი საერთო მეზობელი ქვეყანა რუსეთია, თითქმის ერთდროულად მოიპოვეს დამოუკიდებლობა და ერთმანეთის მსგავსად განიცადეს უხეში დემოგრაფიული პრობლემები. მიუხედავად ამისა, ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოსა და ევროკავშირის წევრები გახდნენ და მტკიცედ განაგრძობენ წარმატებისკენ მიმავალ გზას. მიუხედავად განვლილი სირთულეებისა, აღნიშნულ ქვეყნებში შენარჩუნდა პატრიოტიზმი, ხალხმა და ხელისუფლებამ მაქსიმალურად გამოიყენეს და განავითარეს ქვეყნის რესურსები, სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, უმოკლეს დროში დაუჯერებელ შედეგებს მიაღწიეს და დღეს სამივე ქვეყანაში ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალია. ზემოაღნიშნული გვარწმუნებს იმაში, რომ მდიდარი შეიძლება იყოს აგრესორი მეზობლის მქონე ქვეყანა, რესურსებით მწირე და ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრიც. მთავარია ქვეყანა გახდეს მოქნილი დროისა და სივრცის ცვლილების მიუხედავად.[13] ჩვენი ერი-სახელმწიფოს კულტურული ერთობა, პოლიტიკური იდენტობა, სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანზე უფრო მეტი ხნის გამოცდილება, გვავალდებულებს არ მოვდუნდეთ და ვიყოთ მუდმივ მზადყოფნაში და შეძლებისდაგვარად გავუმკლავდეთ წარმოშობილ პრობლემებს. [14]

საბოლოოდ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თუ მცირე ერი-სახელმწიფო აირჩევს სწორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიას, იგი შეძლებს მნიშვნელოვანი გახდეს დანარჩენი მსოფლიოსთვის. დღევანდელ გლობალიზაციის გამოწვევებში პატარა ერი-სახელმწიფოების თვითგადარჩენის ინსტინქტი კვლავ აქტიურია. იმისათვის, რომ დიდმა სახელმწიფოებმა არ შთანთქას პატარა ქვეყნები, საჭიროა აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო სისტემაში. გამოიყენონ შესაძლებლობების მაქსიმუმი, რაც მათ ინტეგრაციასა და განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ყოველივეს გათვალისწინებით საჭიროა გააჩნდეთ საკუთარი ნიშა, დაიცვან თავიანთი იდენტობა და უზრუნველყონ ეროვნული უსაფრთხოება. პატარა ქვეყნებს ორი არჩევანი აქვთ, იბრძოლონ განვითარებისთვის და გახდნენ გავლენიანები, ან დაემორჩილონ დიდ სახელმწიფოებს. თუმცა, არსებობს უკეთესი ალტერნატივა, ბრძოლისა და მორჩილების ნაცვლად, გამოიყენონ თავიანთი მოქნილობის უნარი, განიცადონ ცვლილებები სხვებზე სწრაფად და ადაპტირდნენ ცვალებად გარემო პირობებთან.

12.https://on.ge/story/19164-10-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1-%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98 (უკანასკნ. ნანახია 04.12.2022)

13. ნ. კორჟენკო, ,პატარა ქვეყნების პოზიციონირების პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე, თბ., 2019

14. ლ. ოსიძე, ,ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები, თბ., 2021

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰ. კისინჯერი, ,დიპლომატია გამომცემლობა ინტელექტი, თბ., 2021
2. ე. ჰეივუდი, ,პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მე-3 გამოც.- თბ., 2004, გვ. 432
3. ე. ელიზბარაშვილი, ,გლობალური ეკოლოგია, დამხმარე სახელმძღვანელო თბ., 2009
4. M. Weber, (1948). From Max Weber: Essays in Sociology. In Girth and Mills (Eds.). London: Routledge and Kegan Paul; გვ 112
5. A. D. Smith, (1971). Theories of Nationalism (1st edition). London: Duckworth; 201 გვ.
6. A. Giddens, (1987). Social Theory and Modern Sociology. Cambridge: Polity Press; 198 გვ.
7. ე. აკობია „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია" , თბ., 2006, გვ. 100
8. თ. ყრუაშვილი, სტატია ,ვესტფალიის ზავი – რეფორმაციის ისტორიული შედეგები, 2021წ https://www.ttimes.ge/archives/114371 (უკანასკნ. ნანახია 04.12.2022)
9. დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი, „ქართული ეროვნული იდენტობა, კონფლიქტი და ინტეგრაცია" თბ., 2016, გვ. 395
10. გ. გამსახურდია „ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში" , მარტი, 2016, გვ. 211
11. ლ. ოსიძე, ,ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები, თბ., 2021
12. ნ. კორჟენკო, ,პატარა ქვეყნების პოზიციონირების პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე, თბ., 2019
13. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" №18, 2010წ https://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/2010/16-05-2010.htm (უკანასკნ. ნანახია 19.20.2022)
14. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%90 (უკანასკნ. ნანახია 02.12.2022)
15. Frieda Muyale Manenji „The Effects of Globalization on African Culture Seen Through the Eyes of an African Woman" http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/manenji.shtml (უკანასკნ. ნანახია 22.11.2022)
16. M. Weber, (1948). From Max Weber: Essays in Sociology. In Girth and Mills (Eds.). London: Routledge and Kegan Paul; p. 112
17. Smith, A. D. (1971). Theories of Nationalism (1st edition). London: Duckworth; p. 201
18. Giddens, A.(1987). Social Theory and Modern Sociology. Cambridge: Polity Press; p. 198
19. Michael W. Mosser, „Engineering Influence: the Subtle Power of Small States in the CSCE?OSCE", paper presented at the workshop on „Small States and Alliances", Austrian Defense Academy, Vienna, 25-27 November 1999, p. 3
20. Erling Bjol, „Small States in International Politics", in Schou et al., Small States, p. 9
21. https://on.ge/story/19164-10 %E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98 (ukanaskn. nanaxia 04.12.2022)
22. www.globalization.kof.ethz.ch (უკანასკნ. ნანახია 08.02.2022)
23. www.civiceducation.ge (უკანასკნ. ნანახია 10.02.2022)

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, მცირე ერი-სახელმწიფო, მცირე ერები, იდენტობა

Key word: Globalization, small nation- state, small nations, identity

გლობალიზაცია და მცირე ერი-სახელმწიფოს საფრთხეები და გამოწვევები

სალომე გიორგაძე
დოქტორანტი
ლევან ოსიძე
სტუ, ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული საზღვრები იშლება და მსოფლიო ერთიანდება პოლიტიკური, კულტურული და ენობრივი ნიშნით, რაც განსაკუთრებით საფრთხილოა მცირე ერი-სახელმწიფოებისათვის. წლებია მიმდინარეობს კამათი მცირე ერი-სახელმწიფოების მნიშვნელობასა და განსაზღვრებაზე. „პატარა ქვეყნის“ ცნებაში ხშირად მოიაზრებოდა „სუსტი“ და „განუვითარებელი“ თუმცა, დღეს უკვე სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ. XXI საუკუნეში განსაკუთრებით გაღრმავდა ინტერესი პატარა ქვეყნების მიმართ, ყურადღების ცენტრში მოექცა განვითარებული პატარა ქვეყნები თავისი დიდი ისტორიული წარსულით, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო ასპარეზზე და ისინი კვლავ აგრძელებენ მცდელობას დაიმკვიდრონ თავი გლობალიზაციის პირობებში. წარმოდგენილ თეორეტიკოსებზე დაყრდნობით, ვასკვნით, რომ გლობალიზაცია, ზრდის სახელმწიფოთა ზეგავლენას ერთმანეთზე - ადამიანთა ცხოვრების წესსა და შეხედულებებზე. ამ პროცესებში განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე ერი-სახელმწიფოებზე მათი ზეგავლენა, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ განვითარდნენ და დაიმკვიდრონ თავი მსოფლიოში, ანდა საერთოდაც გაქრნენ. პატარა ქვეყნებისგან განსხვავებით, განვითარებადი პატარა ერი-სახელმწიფოები გლობალიზაციის უარყოფით გავლენებს უფრო მეტად განიცდიან, რადგან მათთვის მთავარი მიზანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებაა. განსაკუთრებით გამოყოფის ღირსია ახალგაზრდა ქვეყნები, რომლის უმრავლესობაც დიდხანს იყო სხვა ქვეყნების დაქვემდებარებაში. განსაკუთრებით რთულია ქვეყანამ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, როცა ძლიერ სამხედრო ძალას არ ფლობს. საფრთხეების მიუხედავად აუცილებელია პატარა სახელმწიფომ დიდი მსოფლიოს ნაწილად იგრძნოს თავი, რადგან შეუძლებელია ქვეყანა განვითარდეს დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულ მდგომარეობაში. აუცილებელია მან აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობები და დაიცვას საკუთარი ინტერესები საერთაშორისო დონეზე. დღეისდღეობით პატარა ქვეყნებს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ განვითარებასა და წინსვლის ხელშეწყობას. თითქოს მათი უსაფრთხოება დღეს უფრო მეტად უზრუნველყოფილია, თუმცა ბევრ პატარა, სუსტ ქვეყანას არ აქვს უსაფრთხოების გარანტიები. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასეა და ჩვენ ერთ-ერთი მათგანი ქვეყანა ვართ, რომელიც დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან გადარჩენისათვის იბრძვის.

GLOBALIZATION AND SMALL NATION - STATE THREATS AND CHALLENGES

Salome Giorgadze
PHD student
Levan Osidze
STU, associate professor

Absract

In the era of globalization, national borders are collapsing and the world is becoming united on political, cultural and linguistic grounds, which is especially alarming for small nation- states. The meaning and definition of small nation- states has been debated for years. The concept of "small country" often meant "weak" and "underdeveloped", however, today we are facing a different reality. In the 21st century, the interest in small countries especially deepened, the attention was paid to small developed countries with their long historical past, which achieved great success in the international arena, and they continue to try to establish themselves in the conditions of globalization. Based on the presented theorists, we conclude that globalization increases the influence of states on each other - on the way of life and views of people. In these processes, their influence on small nation- states, which have the opportunity to develop and establish themselves in the world, or disappear altogether, is especially noteworthy. Unlike small countries, developing small nation- states suffer more from the negative effects of globalization, because their main goal is to maintain their statehood and establish themselves in the international arena. The young countries, the majority of which were under the control of other countries for a long time, are especially worth highlighting. It is especially difficult for a country to feel safe when it does not have a strong military force. Despite the dangers, it is necessary for a small country to feel part of the big world, because it is impossible for a country to develop in isolation from the rest of the world. It is necessary for him to conduct diplomatic relations and protect his own interests at the international level. Nowadays, a number of international organizations provide support for development and progress to small countries. It seems that their security is more ensured today, although many small, weak countries do not have security guarantees. Unfortunately, this is still the case, and we are one of those countries that has been fighting for survival since the first day of independence.